გიორგი კელაპტრიშვილი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: g.kelaptrishvili.80@gmail.com

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: მთიანი ყარაბაღის შემთხვევა

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის ანალიზი სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში. ნაშრომში განხილულია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც გავლენა იქონიეს რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე სამხრეთ კავკასიაში და განაპირობეს მისი ფუნდამენტალური ცვლილება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. ასევე, ნაშრომი მიზნად ისახავს იმ ფაქტორებისა და გარემოებების იდენტიფიცირებას, რომლებმაც განაპირობეს რუსეთის გადაწყვეტილება - მიეცა საშუალება აზერბაიჯანისთვის აღედგინა კონტროლი მთიანი ყარაბაღის რეგიონზე, სამხედრო ძალისხმევის გზით. აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის სამხედრო გზით დაბრუნების პერიოდი არ არის შემთხვევით შერჩეული და ემთხვევა რუსეთისთვის საკმაოდ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებას. უკრაინის მიერ ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანების მზარდი სურვილი რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მთავარი გამოწვევაა. შესაბამისად, რუსეთის მთავარი ფოკუსი მიმართულია ნატოს მის საზღვრებთან გაფართოების საწინააღმდეგოდ, რაც საკმაოდ დიდ სამხედრო და პოლიტიკური რესურსების მობილიზებას და კონცენტრირებას მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა, დაეთმო მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანისთვის წარმოადგენდა იძულებით ნაბიჯს თუ სტრატეგიულ დათმობას. კვლევაში, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებულია სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდის სხვადასხვა ტექნიკა, რომლებმაც საშუალება მომცა, თვისებრივ კონტენტში გაანალიზებულიყო რუსეთის მიერ გავლენების გაძლიერების ან/და დასუსტების პოლიტიკური და სამხედრო შედეგები. ნაშრომში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის თეორიული/კონცეპტუალური ანალიზისთვის გამოყენებულია პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი გავლენიანი განშტოება: ნეოკლასიკური რეალიზმი, რომელიც ანალიზის სამივე დონეზე იძლევა საშუალებას შეფასდეს რუსეთის პოლიტიკის ცვლილება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. ნეოკლასიკური რეალიზმის დაშვებები კარგად ხსნის კონკრეტული ქვეყნის მიერ მიღებულ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, როგორც სისტემურ, ისე შიდა და მმართველი ელიტის კოგნიტური

მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, ნეოკლასიკური რეალიზმი ქმნის ანალიზის მრავალდონიან ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს როგორც სისტემურ, ისე შუალედურ და ერთეული დონის ცვლადებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მოხდეს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების სრულყოფილი ანალიზი სამხრეთ კავკასიაში, კონკრეტულად მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ. ამასთანავე, კვლევაში შემოტანილი რაციონალური აქტორის მოდელი ავსებს კონცეპტუალურ მიდგომას, რათა სისტემურად შეფასდეს რუსეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანის მოტივაცია, სტრატეგიული ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება და გადაწყვეტილების მიმღები პირების ქცევითი ლოგიკა. რაციონალური აქტორის მოდელი არის საგარეო პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი მოდელი, რომელიც ცდილობს ახსნას როგორ და რატომ იღებენ სახელმწიფოები კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. აღნიშნული მოდელი სახელმწიფოს აღიქვამს, როგორც ერთიან, რაციონალურ აქტორს, რომელიც საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად მოქმედებს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაქსიმალურად ყველა ალტერნატივას აფასებს და ირჩევს ყველაზე მომგებიანს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით განპირობებულია რეგიონში რუსეთის გავლენის დასუსტებით და რუსეთის მიერ დროებით სტრატეგიულ დათმობაზე წასვლით, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა სამხედრო და პოლიტიკური რესურსი მიემართა უფრო პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად (უკრაინის პრობლემა). შეზღუდული რესურსების პირობებში დროებით დათმობა არის რაციონალური გამოსავალი, რათა მეტი რესურსის მობილიზება მოხდეს უფრო მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად. პროცესზე ასევე გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიმღები პირების კოგნიტურმა მდგომარეობამ და მათმა პიროვნულ-იდეოლოგიურმა აღქმებმა სომხეთის პოლიტიკური კურსის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, საგარეო პოლიტიკა, ნეოკლასიკური რეალიზმი, რაციონალური აქტორის მოდელი, მთიანი ყარაბაღი.

შესავალი

სამხრეთ კავკასია რუსეთისთვის წარმოადგენს სტრატეგიულ რეგიონს, რაც განპირობებულია რეგიონული გავლენის შენარჩუნების, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ენერგეტიკული ინტერესების დაცვით. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, აღნიშნულ რეგიონზე გავლენა რუსეთისთვის არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული გათვლებით, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებდა, რაც განამტკიცებდა მის პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში (Carley, 1998, PP.2-3). მიუხედავად ამისა, 2020-2023 წლებში, რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიდგომის ტრანსფორმაციის შედეგად, შეიქმნა პირობები, რომლებმაც აზერბაიჯანს მისცა შესაძლებლობა სამხედრო გზით სრულად აღედგინა კონტროლი მთიანი ყარაბაღის რეგიონზე.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია გაანალიზებულია 2020-2023 წლებში, სტატიაში ასევე განხილულია მთიანი ყარაბაღის

კონფლიქტი 1992 წლიდან 2020 წლამდე, რათა უკეთ დავინახოთ რუსეთის დამოკიდებულება ამ კონფლიქტისადმი და მასში მონაწილე მხარეებისადმი 2020 წლამდე, რაც საშუალებას მოგვცემს სრულყოფილად გავაანალიზოთ ძირითადი ფაქტორები და გარემოებები, რომლებმაც განაპირობეს რუსეთის მიდგომების და საგარეო პოლიტიკის ვექტორების ცვლილება მთიანი ყარაბაღის მეორე ომის პერიოდში და მის შემდგომ.

ფართო ლიტერატურის კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზები ნეოკლასიკური რეალიზმის და რაციონალური აქტორის მოდელის ჭრილში ნაკლებად არის გამოკვლეული, რაც სტატიას სამეცნიერო ღირებულებას და მნიშვნელოვან სიახლეს სძენს.

ვინაიდან, სტატიის მიზანს წარმოადგენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის ანალიზი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, შესაბამისად, სტატიის ამოცანაა:

- გამოიკვლიოს მნიშვნელოვანი ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებას რეგიონში 2020-2023 წლებში, კონკრეტულად მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში;
- დაადგინოს გარემოებები და ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს რუსეთის გადაწყვეტილება საშუალება მიეცა აზერბაიჯანისთვის სამხედრო გზით აღედგინა კონტროლი მთიანი ყარაბაღის რეგიონზე (მთიანი ყარაბაღის მეორე ომი), განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ სომხეთთან აღებული ჰქონდა უსაფრთხოების გარანტიები და აკავშირებდა უსაფრთხოების ხელშეკრულება (კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია - კუხო).
- განსაზღვროს, აღნიშნული საგარეო პოლიტიკური ქცევა წარმოადგენდა იძულებით ნაბიჯს თუ სტრატეგიულ დათმობას, სისტემურ, შუალედურ და ინდივიდუალურ დონეებზე არსებული ფაქტორების გათვალისწინებით.

საკვლევი კითხვა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სტატიაში მოხდა შემდეგი საკვლევი კითხვის ფორმულირება:
- რა ძირითადმა ფაქტორებმა განაპირობეს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, კერძოდ, რუსეთის გადაწყვეტილება მიეცა საშუალება აზერბაიჯანისთვის აღედგინა კონტროლი მთიანი ყარაბაღის რეგიონზე?

ჰიპოთეზა

კვლევაში გამოყენებული თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩოდან გამომდინარე, დედუქციური გზით მოხდა შემდეგი ჰიპოთეზის გენერირება:
- რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია რეგიონში ძირითადად განპირობებული იყო სისტემური ფაქტორებით (რეგიონული ძალთა ბალანსი - თურქეთის ფაქტორი, „დასავლეთის“ გავლენების გაფართოება რუსეთის საზღვრების სიახლოვეს - უკრაინის კონფლიქტი, შესაბამისად, რუსეთი იძულებული გახდა

ძირითადი ძალისხმევა მიემართა დასავლეთის დასაბალანსებლად) და შიდა პოლიტიკური ფაქტორებით (სტრატეგიული ინტერესები, გადაწყვეტილების მიმღები პირების კოგნიტიური აღქმები, სომხეთში გაცხადებული პროდასავლური და დემოკრატიული პოლიტიკის მიმართულებები), შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა დროებით სტრატეგიულ დათმობას კონკრეტული საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, განსაკუთრებით უკრაინის კონფლიქტის ფონზე.

დამოუკიდებელი ცვლადი: სისტემური ზეწოლა: რუსეთის გავლენის დასუსტება და აზერბაიჯანის მიერ მთიან ყარაბაღში სამხედრო მოქმედებების დაწყება.

შუალედური ცვლადი: სტრატეგიული ინტერესები; გადაწყვეტილების მიმღები პირების კოგნიტური აღქმები.

დამოკიდებელი ცვლადი: რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ანალიზის ერთეული: ანალიზის ერთეულს წარმოადგენს - რუსეთის საგარეო პოლიტიკა.

მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებულია სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდი.

საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაგება მკაფიო მეთოდოლოგიურ ჩარჩოს მოითხოვს და რთულია მისი სრულყოფილი ანალიზი მხოლოდ თეორიული ჩარჩოს გამოყენებით. აქედან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებულია ისეთი ანალიტიკური ინსტრუმენტები, როგორიც არის შემთხვევის შესწავლა (Case Study), რომელიც მდიდარ თვისებრივ ინფორმაციას იძლევა; თვისებრივი კონტენტ-ანალიზი (Qualitative Content Analysis), რომელიც მასალის კატეგორიზაციის და თემების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა; დისკურს-ანალიზის მეთოდი (Discourse Analysis), რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ ხსნიან ქვეყნები საკუთარ მიზნებს და სტრატეგიებს. კვლევის პროცესში, აღნიშნულმა ტექნიკამ, პრეზიდენტის და მმართველი ელიტების გამოსვლების, რიტორიკის შესწავლის და მედია ნარატივების გაანალიზების შესაძლებლობა მომცა. საბოლოოდ, სოციალური კვლევის თვისებრივმა მეთოდმა რუსეთის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების სიღრმისეული შეფასების საშუალება უზრუნველყო.

ლიტერატურის მიმოხილვა

სტატიაში გამოყენებული ლიტერატურა აერთიანებს რამოდენიმე ურთიერთშემავსებელ თემატურ ჩარჩოს. თეორიულ და კონცეპტუალურ საფუძვლებს აყალიბებს პოლიტიკური რეალიზმის აპოლოგეტი ავტორების: ქენეთ უოლცი (Kenneth Waltz), სტივენ უოლტი (Stephen Walt), გიდეონ როუზი (Gideon Rose), ჯეკ სნაიდერი (Jack Snyder) ნაშრომები. ხოლო პარადიგმათშორის და ნორმატიული კონტექსტი შევსებულია კრის ბრაუნის (Chris Brown) და თომას ბრიუერის (Thomas L. Brewer) ნაშრომებით. რუსეთის საგარეო პოლიტიკის და იდეოლოგიური საფუძვლებითვის ძირითადად გამოყენებულია ჰანს მაურიცენის (Hans Mouritzen) და ანნა აპლბაურეის (Anne Applebaum) კვლევები. კონფლიქტის ისტორიული და მიმდინარე კონტენტი დამუშავებულია ქართული,

რუსული და ინგლისურენოვანი წყაროებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ემპირიული მონაცემები ეხება ისტორიულ წარსულს და საბჭოთა პერიოდსაც, ძირითადი ფოკუსი გაკეთებულია მთიანი ყარაბაღის მეორე ომზე და მის შემდგომ პერიოდზე. ასევე, გაანალიზებულია საერთასორისო ინსტიტუტების ოფიციალური დოკუმენტები. მეთოდოლოგიური სტანდარტის და ბალანსის შესანარჩუნებლად გაანალიზებულია რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ოფიციალური წყაროები, მათ შორის პირველ წყაროები ოფიციალური პირების განცხადებებიდან. შესწვლილია რუსეტის პრეზიდენტის ინტერვიუები (2020-2023 წლები). მოვლენების ქრონოლოგიის აღსაწერად და ინტერპრეტაიცისთვის გამოყენებულია საერთაშორისო მედია საშუალებებისა და ანალიტიკური ცენტრების პუბლიკაციები.

თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩო

ნეოკლასიკური რეალიზმი. ზოგადად, უნდა აღნინიშნოს, რომ თეორია წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ძალიან მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც საშუალებას იძლევა პასუხი გავცეთ შეკითხვებს, თუ რატომ და როგორ ხდება ფენომენი, რა არის მისი გამომწვევი მიზეზი.

"რატომ უნდა აინტერესებდეთ პოლიტიკის შემქმნელებსა და პრაქტიკოსებს საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო შესწავლა? - რადგან არსებობს გარდაუვალი კავშირი თეორიის აბსტრაქტულ სამყაროსა და პოლიტიკის რეალურ სამყაროს შორის" (Walt, 1998, P.29).

პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განშტოებას კლასიკური რეალიზმი წარმოადგენს, რომელიც ომის გამომწვევ მიზეზებს ადამიანის ბუნების თანდაყოლილ ბოროტ საწყისებში ხედავს (Brown, 2013, P.P. 5-6). აღნიშნული თეორიის მიხედვით, ადამიანი ბუნებით ძალაუფლების მომხვეჭელია. კლასიკური რეალიზმის ძირითადი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენს ბრძოლას ძალაუფლებისათვის ეგოისტურ სახელმწიფოების შორის (Snyder, 2004, P.55). ასევე, პოლიტიკური რეალიზმის გავლენიანი განშტოებაა - სტრუქტურული რეალიზმი, იგივე ნეორეალიზმი, რომელიც ომის გამომწვევ ძირითად მიზეზად საერთაშორისო სისტემის ანარქიულ ბუნებას მიიჩნევს, რაც გულისხმობს, რომ არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც დაარეგულირებდა სახელმწიფოთა ქცევას. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, საჭიროების შემთხვევაში, ძლიერი სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული ინტერესების გატარებას აგრესიული მეთოდების გამოყენებით ცდილობენ, რადგან არ არსებობს მექანიზმი მათ შესაკავებლად (Waltz, 1988, P.620). თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი ნეორეალიზმის განშტოებებს და შესაბამისად, სისტემურ თეორიებს წარმოადგენენ.

რაც შეეხება ნეოკლასიკურ რეალიზმს, რომლის აპოლოგეტად გიდეონ როუზი ითვლება, როგორც საგარეო პოლიტიკის ანალიზის თეორიული მიდგომა, ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა. მაკროთეორიულმა მიდგომებმა (მაგალითად, სტრუქტურული რეალიზმი) ვერ გაითვალისწინეს, რომ საშინაო პოლიტიკას თავისი მნიშვნელოვანი გავლენები გააჩნია. სტრუქტურული რეალიზმი, როგორც სისტემური თეორია, აქცენტს საერთაშორისო სტრუქტურაზე აკეთებს და ხშირად უგულებელყოფს ქვეყნის შიდა დინამიკას, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სახელმწიფოს საგარეო

პოლიტიკურ ქცევას, რაც თეორიის მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის სრულყოფილად ასახსნელად.

ნეოკლასიკურ რეალიზმს შემოაქვს მრავალდონიანი ჩარჩო, რომელიც აერთიანებს, როგორც სისტემურ, ისე შუალედურ და ერთეული დონის ცვლადებს, რათა მივიღოთ კონკრეტული ქეისის სრულყოფილი ანალიზი საგარეო პოლიტიკური გადაწყეტილების შესახებ. ანალიზის შიდა დონეზე არსებული ცვლადები, როგორიც არის იდეოლოგიის როლი, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირის აღქმები და შიდა ინსტიტუტები, სისტემურ დონეზე არსებულ ცვლადს ახსნით ძალას მატებს. ნეოკლასიკურ რეალიზმს შეუძლია ახსნას სახელმწიფოს ქცევა ისე, როგორც არ შეუძლია მხოლოდ სისტემური დონის თეორიას, რადგან აქცენტის გაკეთება მხოლოდ სისიტემურ ცვლადებზე სრულყოფილ ახსნას ვერ გვთავაზობს (Rose, 1998, P.147).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნეოკლასიკური რეალიზმის დაშვებები გვეხმარება შედარებით უკეთ განვსაზღვროთ (პოლიტიკური რეალიზმის სხვა დაშვებებთან შედარებით), რა ფაქტორებმა შეიძლება განაპირობოს ქვეყნის კონკრეტული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილება. ნეოკლასიკური რეალიზმი საშუალებას იძლევა გაანალიზდეს:

- სისტემური ფაქტორები (საერთაშორისო წნეხი, რეგიონული ძალთა ბალანსი);
- შუალედური ფაქტორები (სტრატეგიული ინტერესები);
- ინდივიდუალური ფაქტორები (გადაწყვეტილების მიღების მიმღები პირების კოგნიტიური აღქმები).

შესაბამისად, ნეოკლასიკური რეალიზმი მიიჩნევა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ასახსნელად ყველაზე სასარგებლო თეორიად, სწორედ მისი მრავალდონიანი ანალიზის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

რაციონალური აქტორის მოდელი. საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების სრულყოფილად ასახსნელად და თეორიული ჩარჩოს შესავსებად, სხვადასხვა მკვლევარების მიერ ხშირად გამოიყენება ელისონის გადაწყვეტილების მიღების შემდეგი მოდელები (Decision-Making theories - Allison's Models):

- ✓ რაციონალური აქტორის მოდელი
- ✓ ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი
- ✓ ორგანიზაციული პროცედურების მოდელი

რაციონალური აქტორის მოდელი (Rational Actor Model). აღნიშნული მოდელი სახელმწიფოს წარმოადგენს, როგორც ერთიან, რაციონალურ ერთეულს, რომელიც მიზანსწრაფულად მოქმედებს, რათა მაქსიმალურად მიიღოს სარგებელი და დაიკმაყოფილოს თავისი ეროვნული ინტერესები. გადაწყვეტილებები აღიქმება მიზანზე ორიენტირებულად, ყველა შესაძლო ალტერნატივის წონის და შედეგების გათვალისწინებით. მოდელის ძირითადი მახასიათებლები შემდეგია: სახელმწიფო მოქმედებს ერთიანად; გადაწყვეტილებები ეფუძნება მიზნის მიღწევის მაქსიმალურ ეფექტიანობას; შედეგები პროგნოზირებადია, თუკი ცნობილია ალტერნატივები. საგარეო პოლიტიკის ანალიზში ეს მოდელი საშუალებას იძლევა განსაზღვრო, რომელი ნაბიჯები იყო სტრატეგიული, დაგეგმილი და მიზანშეწონილი.

ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი (Bureaucratic Politics Model). რაც შეეხება ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელს, ეს მიდგომა აჩვენებს, რომ რაციონალური აქტორის მოდელისგან განსხვავებით, სახელმწიფოს გადაწყვეტილებები მიიღება

სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვადასხვა ბიუროკრატიული აქტორების ინტერესებისა და ძალთა გადანაწილების შედეგად.

ორგანიზაციული პროცესის მოდელი (Organizational Process Model). აღნიშნული მოდელი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო ქცევა ხშირად დამოკიდებულია ორგანიზაციულ წესებსა და სტანდარტულ ოპერაციული პროცედურებზე (SOPs). გადაწყვეტილებები მიიღება არა რაციონალურად, არამედ არსებული ინსტიტუციური პროცესების და წინასწარ განსაზღვრული პრაქტიკების მიხედვით. ძირითადი მახასიათებლები: სახელმწიფო მოქმედებს ორგანიზაციული წესებით (Brewer, 1992, P.P.24-49).

ზემოთ აღნიშნული კონცეპტუალური მიდგომებიდან, სტატიაში გამოყენებული იქნა რაციონალური აქტორის მოდელი, ვინაიდან აღნიშნული მოდელი ყველაზე მეტად შეესაბამება კვლევის იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოყენებული იქნა რუსეთის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ანალიზისთვის. რაციონალური აქტორის მოდელი ავსებს და სრულყოფილს ხდის ნეოკლასიკური რეალიზმის დაშვებებს საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ანალიზის დროს.

ემპირიული მონაცემები

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. მთიანი ყარაბღის კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ისტროიული წარსულიდან იღებს სათავეს. აღნიშნულ კონფლიქტს ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოყვა. კონფლიქტის შესახებ მრავალი კვლევა არსებობს, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კონფლიქტის ძირითადი მიზეზი არის ეთნიკური ნიშნით დაწყებული, ტერიტორიული უთანხმოება. მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფების შესახებ მონაცემები ძირითადად რუსეთის იმპერიის მიერ აღნიშნული ტერიტორიების დაპყრობის (1804 წელი) შემდეგ ჩნდება, ვინაიდან რუსეთის იმპერია პერიოდულად აწარმოებდა მოსახლეობის აღრიცხვას. რუსეთის იმპერიის და შემდგომ საბჭოთა კავშირის მიერ მთიანი ყარაბაღის მიმართ გატარებულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად განაპირობა ეთნიკური და ტერიტორიული ცვლილებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის მიერ მიზანმიმართულად გატარებული ტერიტორიული ცვლილებები, რამაც ეთნიკური შუღლი კიდევ უფრო გააღვივა. საბჭოთა კავშირის ქმედებებმა მნიშვნელოვნად განაპირობა დაძაბულობა ეთნიკურად აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, რაც შემდგომ მე-20 საუკუნის მიწურულს კონფლიქტის ძირითადი მაპროვოცირებელი მოვლენა გახდა (Cornell, 1999, pp.4-13), (მალაშხია, 2011, გვ. 175-184).

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაცია 1987 – 1992 წლებში. 1987 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ეთნიკური სომხებით დასახლებულ სოფელში ინციდენტი მოხდა ეთნიკურად აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, რაც საბოლოოდ ნაციონალისტურ მოთხოვნებში გადაიზარდა და კონფლიქტის ესკალაციის საწყისი მიზეზი გახდა (Cornell, 1999, pp.13-14;). 1988 წლის თებერვალში მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების მიერ გამოიცა დეკლარაცია აზერბაიჯანის სსრ-დან გამოყოფის და სომხეთის სსრ-სთან შეერთების შესახებ. 1988 წლის თებერვალში

მთიან ყარაბაღში ასკერანთან და აზერბაიჯანში სუმგაითთან დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ უფრო გაამძაფრდა ეთნიკური დაპირისპირება (Cornell, 1999, pp. 26-27). 1989 წელს სომხეთის საბჭოთა ხელისუფლებამ ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე მთიანი ყარაბაღი სომხეთის ნაწილად გამოაცხადა, რამაც კიდევ უფრო გააღვივა დაპირისპირება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. 1990 წელს საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მთიანი ყარაბაღში სამხედრო დანაყოფები შეიყვანა და საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა, თუმცა, კრიზისის განმუხტვა ვერ შეძლო. 1991 წლის აგვისტოში აზერბაიჯანმა, სექტემბერში კი სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1991 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა და კონფლიქტის ესკალაცია სრული სიმძაფრით განახლდა (მალაშხია, 2011, გვ. 184-188).

მთიანი ყარაბაღის პირველი ომი 1992-1994 წლებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საბრძოლო მოქმედებები გარდამავალი უპირატესობებით წარიმართა. რუსეთის ინტერესი ამ დროისთვის იყო ის, რომ დსთ-ში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) გაწევრიანებაზე დაეთანხმა აზერბაიჯანი და სომხეთი, რაც მას გავლენის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა, შესაბამისად კონფლიქტში ორივე მხარეს ეხმარებოდა, თუმცა, სომხეთს უფრო მეტ მხარდაჭერას უწევდა. აზერბაიჯანის მხარდაჭერა ძირითადად შეიარაღების მიწოდებით შემოიფარგლებოდა, ხოლო სომხეთის მხარეს რუსეთის გარკვეული საჯარისო ნაწილები პირდაპირ იყვნენ ჩართულები საბრძოლო მოქმედებებში, განსაკუთრებით სომხეთის დსთ-ში გაწევრიანების შემდგომ. რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მხარდაჭერით მოხდა მნიშვნელოვანი საკვანძო ტერიტორიების დაკავება სომხეთის მიერ (ხოჯალის აეროპორტი, ლაჩინის კორიდორი), რამაც დიდი უპირატოსობა მოუტანა სომხეთის მხარეს და გადაწყვიტა საბრძოლო მოქმედებების ბედი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხოჯალის ტრაგედია, რომელსაც რვაასამდე ადამიანი შეეწირა (Human Rights Watch, 1993). ხოჯალის ტრაგედია ეთნიკურ წმენდად შეფასდა და ერთ-ერთ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიაა აზერბაიჯანისთვის. საბოლოოდ საბრძოლო მოქმეებები სომხეთის სასარგებლოდ წარიმართა და სომხეთმა არამარტო მთიანი ყარაბაღის ტერიტორია, არამედ აზერბაიჯანის შვიდი რაიონის ოკუპაციაც მოახდინა (Cornell, 1999, pp. 26-33). კონფლიქტის დაწყებიდანვე იყო არაერთი მცდელობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, თუმცა უმეტესობამ შედეგი ვერ მოიტანა. 1992 წელს შეიქმნა „ეუთო“-ს მინსკის ჯგუფი, თუმცა, მისი რატიფიცირება მხოლოდ 1995 წელს მოხდა (Organization for Security and Co-operation in Europe, 1995). 1992 წლის გაეროს თეირანის სამიტი (United Nations,1992). საბოლოოდ 1994 წლის მაისში რუსეთის ლიდერობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას (ბიშკეკის პროტოკოლი), რომლის მიხედვითაც მთიანი ყარაბაღის არაღირებულ რესპუბლიკის კონტროლს დაექვემდებარა არამარტო მთიანი ყარაბაღი, არამედ აზერბაიჯანის 7 ტერიტორიული ერთეულიც (მალაშხია, 2011, გვ,188-193).

მთიანი ყარაბაღის პირველი ომის შემდგომი პერიოდი (1994-2020). 1994 წლიდან 2020 წლამდე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. მინსკის ჯგუფის ფორმატში ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 2007 წლის „მადრიდის პრინციპების“ სახელით ცნობილი

შეთანხმება (რატიფიცირება მოხდა 2009 წელს), თუმცა, რეალური სამშვიდობო შედეგები ვერ მოიტანა (Organization for Security and Co-operation in Europe, 2009). 2008 წლიდან 2020 წლამდე აზერბაიჯანმა, თურქეთის მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სამხედრო პოტენციალი, მაშინ როდესაც სომხეთი რუსეთის მხარდაჭერის იმედით ბევრად ჩამორჩებოდა აზერბაიჯანს. 2010 – 2020 წლის პერიოდში არაერთი საბრძოლო შეტაკება მოხდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რაშიც ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი აქედან 2016 წლის საბრძოლო მოქმედებები იყო, სადაც ორივე მხრიდან მძიმე შეიარაღება (ავიაცია, არტილერია) იქნა გამოყენებული (The Guardian, 2016). 2020 წლის ივლისში დაძაბულობა პიკს აღწევს, შეტაკებებს რამოდენიმე ათეული ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის სამოქალაქო პირები. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და მინსკის ჯგუფის სხვა ქვეყნების ძალისხმევით შედგა. 2020 წლის სექტემბერში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ესკალაციამ ახალი ძალით იფეთქა და ფართო მასშტაბიან სამხედრო შეტაკებებში გადაიზარდა.

მთიანი ყარაბაღის მეორე ომი (2020 წელი). 2020 წლის 27 სექტემბერს დაიწყო მთიანი ყარაბაღის მეორე ომი რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 9 ნოემბრამდე. ცეცხლის შეწყვეტას ხელი მოეწერა რუსეთის დედაქალაქში 9 ნოემბერს. ესკალაცია აშკარად აზერბაიჯანის მიერ იქნა ინიცირებული, რომელმაც ისარგებლა რეგიონში შექმნილი ვითარებით, (რუსეთის დასუსტებით, მისი ყურადღების სხვა რეგიონში გადატანით, ასევე თურქეთის მხარდაჭერით) და გადაწყვიტა აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა. საბრძოლო მოქმედებები აზერბაიჯანის სამხედრო უპირატესობით წარიმართა. სომხეთის მხრიდან დაფიქსირდა სარაკეტო შეტევები აზერბაიჯანის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებზე (ქალაქებზე), რაც ქმნის იმის ვარაუდს, რომ სომხეთს სურდა აზერბაიჯანისგან საპასუხო ნაბიჯების გამოწვევა სომხეთის ტერიტორიაზე. აზერბაიჯანი ფრთხილობდა და ცდილობდა საბრძოლო მოქმედებები კონფლიტის ზონის გარეთ არ გასულიყო, რათა არ გამოეწვია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რაიმე ბრალდება და სომხეთისთვის არ შექმნილიყო კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ამოქმედების პირობები, რასაც სომხეთი ითხოვდა კიდეც ორგანიზაციის წევრებისგან, განსაკუთრებით რუსეთისგან (European Asylum Support Office, 2020, pp.3-12). მიუხედავად მოთხოვნებისა, რუსეთმა არანაირი ქმედითი დახმარება არ აღმოუჩინა სომხეთს, რაც ქმნის იმის ვარაუდს, რომ რუსეთს არ შეეძლო ან/და არ სურდა სომხეთისთვის სტატუს კვოს შენარჩუნება, ვინაიდან მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა სამშვიდობო კონტიგენტის განთავსება მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე, რასაც მთიანი ყარაბაღის პირველი ომის დროსაც კი ვერ მიაღწია. აზერბაიჯანი და სომხეთი, რუსეთის და მინსკის ჯგუფის სხვა ქვეყნების ძალისხმევით რამდენჯერმე შეთანხმდენენ ცეცხლის შეწყვეტაზე, თუმცა, რეალურად ცეცხლის შეწყვეტა არ შედგა. საბოლოოდ, საბრძოლო მოქმედებებში გადამწყვეტი აღმოჩნდა აზერბაიჯანის მიერ სტარატეგიულად საკვანძო ადგილების ქალაქი შუშას და ლაჩინის კორიდორის დაკავება, რამაც სომხეთი აიძულა დათანხმებულიყო ცეცხლის შეწყვეტას აზერბაიჯანის პირობებით. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ინიციატივით ხელი მოსკოვში მოეწერა (kremlin.ru, 2020). ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების მიხედვით აზერბაიჯანმა აღიდგინა კონტროლი მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვან ნაწილზე და სრულად დაიბრუნა მანამდე დაკარგული შვიდი

ტერიტორიული ერთეული. რუსეთმა მიიღო 5 წლიანი სამშვიდობო მანდატი (ავტომატური გახანგრძლივების პირობით) მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე და გახდა სამშვიდობო შეთანხმების გარანტორი. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთის სამშვიდობო ძალები განთავსდნენ დაშორიშრების ხაზზე. სამშვიდობო ძალების კონტროლის ქვეშ, ასევე უნდა ყოფილიყო ლაჩინის კორიდორი, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მთიანი ყარაბაღისთვის, რადგან ერთადერთი გზაა სომხეთთან დასაკავშირებლად. ამასთანავე, სომხეთმა ვალდებულება აიღო უზრუნველყოს აზერბაიჯანის და მისი ექსკლავის ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის სახმელეთო გზით კომუნიკაცია, რომელიც რუსეთის სასაზღვრო ძალების მიერ გაკონტროლდებოდა. ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის მიზნით შეიქმნა სამშვიდობო ცენტრი (kremlin.ru, 2020). მოგვიანებით, თურქეთის დაჟინებული მოთხოვნით სამშვიდობო ცენტრს თურქეთის წარმომადგენლობა დაემატა, რაც რუსეთის მხრიდან კიდევ ერთ დათმობად შეიძლება შეფასდეს.

მთიანი ყარაბაღის მეორე ომის შემდგომი პერიოდი (2020-2023). 2020 – 2023 წლებში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სხვადასხვა სახის ესკალაცია მოხდა. აზერბაიჯანის მხრიდან გაიზარდა წნეხი სომხეთზე საზღვრის დემილიტაციის და დემარკაციის მოთხოვნით. 2021 - 2022 წლებში აზერბაიჯანმა რამოდენიმეჯერ დაარღვია სომხეთის საზღვრები (რომელთა დემარკაცია, დემილიტაცია არასდროს მომხდარა), რაც საბრძოლო შეტაკებებში გადაიზარდა (European Parliament, 2021). აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილხამ ალიევი ღიად ემუქრება სომხეთს და ითხოვს აზერბაიჯანის საზღვრების აღიარებას და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ზანგეზურის დერეფნის ამოქმედებას (ალიევი, 2022). 2022 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის მიერ საზღვრის დარღვევას მოყვა სერიოზული ესკალაცია, ორივე მხრიდან სამასამდე სამხედრო დაიღუპა, ასევე ინციდენტი მოხდა რუსეთის სამშვიდობო ძალების ბლოკპოსტზე, რომელიც დაიბომბა აზერბაიჯანული მხარის მიერ (reuters,2022). აზერბაიჯანმა უარი თქვა სადამკვირვებლო მისიის დაშვებაზე, რომელიც ეუთოს მანდატით სომხეთში იქნა გაგზავნილი ევრო კავშირის მიერ (Euro Union, 2022). სომხეთმა კვლავ მოითხოვა კუხო-ს გააქტიურება, თუმცა, ისევ უშედეგოდ. სამშვიდობო ძალები ვერ ან/და არ უზრუნველყოფდნენ სამშვიდობო მისიის ფარგლებში ნაკისრი მოვალეობის შესრულებას. 2022 წლის დეკემბერში აზერბაიჯანმა დაიკავა და დაბლოკა ლაჩინის კორიდორი. კორიდორით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ სამშვიდობო კონტიგენტს და წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებს (CNN, 2023). 2023 წლის ივლისში ლაჩინის კორიდორი წითელი ჯვრის საერთაშორის საზოგადოების წევრებისთვისაც დაიკეტა, რამაც გარკვეული ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია მთიან ყარაბაღში (Global Conflict Tracker, 2023). 2023 წლის 19 სექტემბერს, ანტიტერორისტული ოპერაციის სახელით აზერბაჯანმა წამოიწყო ფართო მასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის დაწყების შესახებაც ეცნობა სამშვიდობო ცენტრს. ოპერაციის მიზანი იყო მთიან ყარაბაღში დარჩენილი სომხური სამხედრო დანაყოფების განიარაღება (Azerbaijan's Ministry of Defense, 2023). მოგვიანებით, აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ აპირებდა მთიანი ყარაბაღის სრულად რეინტეგრაციას მის შემადგენლობაში და მოითხოვა უპირობო კაპიტულაცია (Global Conflict Tracker, 2023). საბრძოლო მოქმედებების შედეგად ორასზე მეტი ეთნიკურად სომეხი ადგილობრივი დაიღუპა (Center for Strategic and International Studies,

2023). საბოლოოდ მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა სამველ შახრამანიანმა ხელი მოაწერა დეკრეტს კაპიტულაციის შესახებ, რომლის თანახმადაც მთიანი ყარაბაღის სახელმწიფო ინსტიტუტები/ორგანიზაციები დაშლილად გამოცხადდა და მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკა „არცახი“ წყვეტდა არსებობას 2024 წლის 1 იანვრიდან (France24, 2023), 2024 წლის აპრლში რუსეთის სამშვიდობო ძალებმა დატოვეს მთიანი ყარაბაღის რეგიონი (Reuters, 2024). შესაბამისად აზერბაიჯანმა დაამყარა კონტროლი მთიან ყარაბაღზე და სრულად აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა. სომხეთის პრემიერმა ნიკოლ პაშინიანმა ივარაუდა, რომ ეს მოქმედებები შეთანხმებული იყო რუსეთთან და აზერბაიჯანი ეთნიკურ წმენდაში დაადანაშაულა (Global Conflict Tracker, 2023).

ემპირიული მონაცემებისა და თეორიული ჩარჩოს თავსებადობა

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ორი ძირითადი ისტორიული ეპოქა შეიძლება გამოვყოთ. პირველი მოიცავს 1920-იან წლებიდან 1988 წლამდე პერიოდს, საბჭოთა კავშირის პირობებში. ამ პერიოდში კონფლიქტის საჯარო და სამეცნიერო განხილვა მკაცრად შეზღუდული იყო; საზოგადოებრივი დისკურსი კი პრინციპულად კონტროლირებადი, რაც ფაქტობრივად აფერხებდა კონფლიქტის ღიად განხილვას. პირველი ეპოქის „მშვიდობა“ დაირღვა 1988 წელს (Bayramov, 2016, p. 123).

რუსეთი „დაყავი და იბატონეს” პრინციპით ყოველთვის მოქმედებდა, აღვივებდა კონფლიქტებს, საკუთარი გავლენის გასაზრდელად. მისი ეს მიდგომა გულისხმობდა რეგიონში არსებული ეთნიკური და პოლიტიკური დაპირისპირებების გამოყენებას ისე, რომ რუსეთი დარჩენილიყო მთავარი შუამავალი და რეგიონული პოლიტიკის განმსაზღვრელი აქტორი. 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომში ჩასართავად, რუსეთს გარკვეული სისტემური და რეგიონალური წნეხი გააჩნდა (Hans, 2020, P.103).

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით 2020 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, წარმოადგენს შემთხვევას, რომელიც მოითხოვს მრავალდონიანი ანალიზის გამოყენებას. ნეოკლასიკური რეალიზმი საშუალებას გვაძლევს გავაცნობიეროთ, როგორ ურთიერთქმედებს საერთაშორისო სისტემის ზეწოლა, შიდა პოლიტიკური და ინსტიტუციური ფაქტორები და ლიდერის კოგნიტიური აღქმა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. ამასთან, რაციონალური აქტორის მოდელი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო, როგორც ერთიანი მიზანსწრაფული აქტორი, იღებს გადაწყვეტილებებს მაქსიმალური ეფექტიანობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, სხვადასხვა ალტერნატივის შესაძლო შედეგების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ სრულმასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ 2022 წელს დაიწყო, რუსეთი ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ უკრაინის დასავლურ კურსს, განსაკუთრებით ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, აღიქვამდა როგორც მთავარ გეოპოლიტიკურ გამოწვევას. შესაბამისად, რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა თანდათან კონცენტრირდა ამ მიმართულებაზე, რაც გულისხმობდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და სტრატეგიული რესურსების მობილიზებას.

2020-2021 წლებში მრავალი ინდიკატორი მიუთითებს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციისთვის მზადებაზე. 2020 წელს დონბასის და ლუგანსკის

რეგიონებში კრიზის ესკალაცია თავიდან იწყება. 2020 წლის ბოლოს რუსეთის მიერ დაანონსდა სტრატეგიული სამხედრო წვრთნები „დასავლეთი 2021'' (запад-2021), რომელიც მოიცავდა რუსეთის და ბელარუსის შეიარაღებული ძლების ერთობლივ სწავლებებს (პუტინი, 2020).

2021 წლის მარტში რუსეთმა განახორციელა ჯარების გადადგილება უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრის მიმართულებით, გადასროლილი იქნა ასი ათასზე მეტი ჯარისკაცი, მძიმე სამხედრო შეიარაღებით და ჩამოყალიბდა ორმოცდაათზე მეტი დამრტყმელი ჯგუფი. მობილიზდა სამედიცნიო აღჭურვილობა და სისხლის ბანკები (Reuters, 2021). ასეთი მასშტაბის ძალების მასირება და მომზადება არ ხდება წინასწარი ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური გადაწყვეტილებების და საინფორმაციო ნარატივების გარეშე. ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნთ, რომ ეს არ იყო უბრალოდ ძალის დემონსტრირება, არამედ, ეს იყო სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისთვის მზადება.

2020 წელს, როდესაც მთიანი ყარაბაღის მეორე ომი მიმდინარეობდა, რუსეთის აქტიური ჩარევა კონფლიქტში რაციონალური ვერ იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მედიაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცეცხლის შეწყვეტის საკითხში, რითაც რუსეთს საშუალება მიეცა თავისი ინტერესი გაეტარებინა და სამშვიდობო კონტინენტი განეთავსებინა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე (აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის პრეზიდენტების ერთობლივი განცხადება, 2020). ეს იყო ყველაზე ეფექტური ნაბიჯი რუსეთის მიერ, რაც მას მოცემულ სიტუაციაში შეეძლო გაეკეთებინა. სამშვიდობო კონტიგენტის განთავსება რუსეთს საშუალებას აძლევდა გაყინული კონფლიქტის სტატუსი შეენარჩუნებინა. ამასთანავე, სამშვიდობო კონტიგენტის ყოლა მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანზე და სომხეთზე სამომავლოდ ზეგავლენის ბერკეტებს შეუნარჩუნებდა. 2023 წელს, როდესაც აზერბაიჯანმა ახალი სამხედრო კამპანია წამოიწყო და მთიანი ყარაბაღის ტერიტორიული ერთეული საერთოდ გააუქმა, რუსეთი უკრაინასთან ომში სრულად ჩართულია, შესაბამისად, რუსეთს არანაირი ქმედითი სამხედრო და პოლიტიკური ბერკეტები არ გააჩნდა საკუთარი ინტერესების და მოკავშირე სომხეთის დასაცავად (Yablonskyi & Karavaiev, 2026. p.p 120-122). საბოლოოდ, რუსეთი იძულებული გახდა დაეწყო სამშვიდობო კონტიგენტის გაყვანა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიიდან, რომელიც დასრულდა 2024 წლის ივნისში (МИНИСТЕРСТВО ОБОРОНЫ АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ РЕСПУБЛИ, 2024). ზემოთ აღნიშნული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობს, ის ძირითადი სტრატეგიული დათმობები, რაც რუსეთმა განახორციელა აზერბაიჯანის მიმართ.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია თურქეთის ფაქტორი - იგი ღიად უჭერდა მხარს აზერბაიჯანს, რის გამოც რუსეთი ერიდებოდა თურქეთთან პირდაპირ სამხედრო დაპირისპირებას. პარალელურად, სომხეთის ხელისუფლება, განსაკუთრებით ნიკოლ ფაშინიანის მმართველობის პირობებში, მოსკოვში ნაკლებად „პრო-რუსულად" აღიქმებოდა, რაც ასევე ამცირებდა რუსეთის აქტიური ჩარევის მოტივაციას რეგიონში, სომხეთის სასარგებლოდ.

სისტემური დონე - საერთაშორისო წნეხი და ძალთა ბალანსი:

ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელმწიფოები იბრძვიან ძალაუფლების შესანარჩუნებლად. სამხრეთ კავკასიის კონტექსტში, აზერბაიჯანის სამხედრო შესაძლებლობები და თურქეთის მხარდაჭერა ქმნიდა ახალ რეგიონულ ბალანსს, რაც წნეხს უქმნიდა რუსეთს. რუსეთის

შესაძლებლობები შეიზღუდა სხვა რეგიონალური პრიორიტეტების (მაგალითად, უკრაინის ომი) გამო, ამიტომ უპირატესობა მიანიჭა უფრო სტრატეგიულად მომგებიან ალტერნატივას.

შიდა დინამიკა - სახელმწიფო ინტერესები და სტრატეგიული პრიორიტეტები:

რუსეთისთვის სამხრეთ კავკასია ისტორიულად წარმოადგენს გავლენის მნიშვნელოვან ზონას, სადაც იგი ცდილობს შეინარჩუნოს როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე უსაფრთხოების არქიტექტურის განმსაზღვრელი როლი. თუმცა, კონკრეტულ ეტაპზე მოსკოვი იძულებული გახდა ემოქმედა პრაგმატულად და შეეფასებინა არსებული რესურსები და რისკები.

აზერბაიჯანთან პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია დაკავშირებული იქნებოდა მნიშვნელოვან სამხედრო, ეკონომიკურ და რეპუტაციულ ხარჯებთან. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აზერბაიჯანს ჰქონდა თურქეთის მკაფიო პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა, რაც ავტომატურად ზრდიდა კონფლიქტის რეგიონულ ესკალაციის რისკს. ასეთ პირობებში, რუსეთმა აირჩია შედარებით რაციონალური სტრატეგია-ე.წ. „სტრატეგიული დათმობა“.

სამხედრო და დიპლომატიური ელიტა გავლენას ახდენდა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ცდილობდა სტაბილური და პრაგმატული შედეგების მიღწევას, რაც შეამცირებდა ხარჯებს და შიდა დაძაბულობას.

ინდივიდუალური დონე - გადაწყვეტილების მიმღები პირების აღქმები და კოგნიტიური ფაქტორები:

უკრაინის კრიზისის ფონზე, სამხედრო-პოლიტიკური რისკები და საერთაშორისო იმიჯის შენარჩუნების აუცილებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რუსეთის გადაწყვეტილების მიმღები პირების არჩევანზე, წასულიყვნენ დათმობაზე. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის პერსონალურ აღქმებსა და სტრატეგიულ ხედვას.

ნეოკლასიკური რეალიზმის ფარგლებში, ლიდერის კოგნიტიური ფაქტორები, მათ შორის საფრთხეების აღქმა, ისტორიული გამოცდილების ინტერპრეტაცია და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაში. პუტინის შემთხვევაში, დასავლეთის გაფართოება პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივა, აღიქმებოდა როგორც სტრატეგიული გამოწვევა რუსეთის უსაფრთხოებისთვის. ამ ვითარებაში, სომხეთის ხელისუფლებაში ნიკოლ პაშიანიანის მოსვლა და მისი საგარეო პოლიტიკის დასავლური ვექტორები, მნიშვნელოვან პრობლემას ქმნიდა რუსეთისთვის, ვინაიდან სომხეთი რუსეთისთვის ყოველთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამხედრო და პოლიტიკურ საყრდენს სამხრეთ კავკასიაში.

შესაბამისად, პუტინის მიერ მთიანი ყარაბაღის საკითხის აღქმა მნიშვნელოვნად ეფუძნება მის კოგნიტურ იდეოლოგიურ ცნობიერებას, რომელიც რუსეთის და საბჭოთა კავშირის ისტორიული დისკურსიდან გამომდინარეობს. ზოგიერთი მკვლევარი პუტინის იდეოლოგიას „პუტინიზმს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამ იდეოლოგიისთვის დასავლური ღირებულებები და დემოკრატია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხეა (Applebaum, 2013. P.1-4).

რუსეთის მმართველი ელიტა ხშირად ადანაშაულებს ნიკოლ პაშინიანს და სომხეთს მთიანი ყარაბაღის დაკარგვაში. 2020 წლის 17 ნოემბერს, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში პუტინმა განაცხადა, რომ 2020 წლის საბრძოლო მოქმედებების

მიმდინარეობისას მან სცადა გარკვეული სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა ალიევთან და პაშინიანთან სატელეფონო საუბრით, მაგრამ ეს სომხური მხარისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. პუტინმა პაშინიანის სიტყვების ციტირება მოახდინა: „არა ჩვენ არ შეგვიძლია ამაზე წასვლა, ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას“ (РИА Новости, 2020). ამ განცხადებიდან მალევე, სომხეთში გარკვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკურსი ჩამოყალიბდა პრემიერ-მინისტრის ნიკოლ პაშინიანის წინააღმდეგ, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა, თუმცა, სახელისუფლებო ცვლილება არ მომხდარა (Ter-Matevosyan & Nikoghosyan, 2025. p.p. 196-204). მსგავსი პოლიტიკური დისკურსი ომამდეც არსებობდა და ვრცელდებოდა ნარატივები, რომ სომხეთის პოლიტიკური ვექტორების ცვლილება და პაშინიანის „დემოკრატიული ხელშეუხებლობა“ აუცილებლად გახდებოდა აზერბაიჯანის სამიზნე (Ter-Matevosyan & Nikoghosyan, 2025. p.p. 186-191).

პუტინის გარემოცვა აცხადებს, რომ დასავლეთმა პაშინიანი მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის გადასაცემად მოიყვანა ხელისუფლებაში (ზახაროვა, 2023), რასაც ფორმალურად პუტინი შეიძლება არ ეთანხმებოდეს (პუტინი,2023). თუ გავითვალისწინებთ რუსეთის სახელისუფლო მმართველობის ფორმას, უნდა ვივარაუდოდ, რომ ეს განცხადებები პუტინის იდეოლოგიური ნარატივის გაგრძელებაა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აიხსნას, როგორც პუტინის და მისი გარემოცვის დამოკიდებულება სომხეთის მიმართ, ასევე მთიანი ყარაბაღის საკითხისადმი რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკა.

ამგვარი აღქმების და გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში, პუტინის მიერ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური რესურსების კონცენტრაცია უკრაინის მიმართულებით დასავლეთთან გრძელვადიანი დაპირისპირებისათვის, განაპირობებს რუსეთის უფრო ფრთხილ და შერჩევით პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნული შეიძლება აიხსნას, როგორც პუტინის მიერ რისკების პრაგმატული, რაციონალური შეფასებისა და პრიორიტეტების გადანაწილების შედეგი.

უფროს სიღრმისეულად, რომ გავაანალიზოთ, რუსეთის პოლიტიკის ცვლილება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში წარმოადგენს მრავალდონიანი რეაქციას არსებულ გამოწვევებზე. სისტემური დონე განსაზღვრავს შიდა დონის პირობებს (ცვლილებები ძალთა ბალანსში); შუალედური დონე განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტებს (რეგიონული გავლენა, უსაფრთხოება, რესურსების შენარჩუნება); ინდივიდუალური დონე ხსნის, როგორ აფასებენ გადაწყვეტილების მიმღები პირები რისკებს და იღებენ კონკრეტულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.

რაციონალური აქტორის მოდელის მიხედვით, სახელმწიფო წარმოადგენს ერთიან, რაციონალურ აქტორს. ამ მოდელის მიხედვით, რუსეთის ქცევა მთიანი ყარაბაღის ომში უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი, გეოპოლიტიკურ მიზნებზე ორიენტირებული ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში მოქმედებენ სხვადასხვა უწყებები, ელიტები და სტრუქტურები, რაციონალური აქტორის მოდელი ამ ჯგუფების ქმედებას განიხილავს, როგორც საერთო მიზნის - ეროვნული ინტერესების მაქსიმალური დაცვისკენ მიმართულს. რუსეთის მხრიდან დათმობა - აზერბაიჯანისთვის კონტროლის აღდგენის შესაძლებლობის მიცემა, რაციონალური აქტორის მოდელის თვალსაზრისით სტრატეგიული გადაწყვეტილებაა, რომელიც ითვალისწინებდა შესაძლო ალტერნატივებს:

- სრულად ჩარევა → მაღალი სამხედრო ხარჯი + დაპირისპირება თურქეთთან;

- შეზღუდული ჩარევა (მედიაცია) → დროებითი დათმობა, მაგრამ ეროვნული ინტერესების გრძელვადიანი დაცვა და რესურსების მობილიზება უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე.

რუსეთმა აირჩია მეორე ვარიანტი. რაციონალური აქტორის მოდელი აჩვენებს, რომ რუსეთის ქცევა პრაგმატულ, მიზანზე ორიენტირებულ არჩევანს წარმოადგენდა. მიუხედავად ალტერნატივებისა, შედეგი იყო პროგნოზირებადი: აზერბაიჯანის სამხედრო წარმატება + რუსეთის, როგორც გავლენიანი აქტორის და მედიატორის როლის შენარჩუნება რეგიონში.

ნეოკლასიკური რეალიზმის და რაციონალური აქტორის მოდელის მიხედვით, რუსეთმა აზერბაიჯანს მისცა კონტროლის აღების საშუალება, რაც რუსეთის მხრიდან იყო სტრატეგიული და პრაგმატული ნაბიჯი, შესაძლო შედეგის გათვალისწინებით და არა უბრალოდ იძულებითი ქცევა.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია წარმოადგენს შემთხვევას, რომლის ახსნა მხოლოდ სისტემური/მაკროთეორიული მიდგომების გამოყენებით არასრულყოფილია. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის იდენტიფიცირება, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა, როგორ ურთიერთქმედებდა სისტემა, შიდა გარემო და ლიდერის კოგნიტური აღქმები.

კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთის გადაწყვეტილება საშუალება მიეცა აზერბაიჯანისთვის აღედგინა კონტროლი მთიანი ყარაბაღის რეგიონზე იყო სტრატეგიული დათმობა - დროებით გამოსავალი, რათა რუსეთს შეენარჩუნებინა უფრო ფართო გეოპოლიტიკური პოზიციები მთლიან სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, სისტემური და რეგიონალური შეზღუდვების ფარგლებში მაქსიმალურად დაეცვა რუსული ინტერესები და შეენარჩუნებინა შუამავლის როლი აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტში. რუსეთმა გამოიყენა დროებითი სტრატეგიული დათმობა, რადგან მიიჩნია, რომ საბოლოო მიზანი იყო რეგიონში გავლენის შენარჩუნება.

ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით სახელმწიფოს ქცევა არის შედეგი არა მხოლოდ სისტემური ზეწოლის, არამედ შიდა პოლიტიკური და ლიდერული ფაქტორების, ელიტური გადაწყვეტილებების და სტრატეგიული ინტერესების კომბინაციაც. ამ მიდგომის გამოყენებამ აჩვენა, რომ რუსეთის შეზღუდული ჩართულობა იყო გააზრებული სტრატეგიული რეაქცია, რომელიც ითვალისწინებდა როგორც რეგიონულ, ისე შინაგან ზეგავლენებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთის მხრიდან შეზღუდული ჩართულობა მთიანი ყარაბაღის 2020 წლის ომში იყო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელიც კონკრეტულ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული.

სისტემური ფაქტორები - საერთაშორისო სისტემის ზეწოლა, რეგიონის ძალთა ბალანსის ცვლილებები და მხარეთა სამხედრო შესაძლებლობები, განსაკუთრებით აზერბაიჯანის შეიარაღება და თურქეთის მხარდაჭერა, ქმნიდა ახალ რეგიონულ კონფიგურაციას, რაც უზღუდავდა რუსეთს სრული ჩარევის შესაძლებლობასი

შიდა პოლიტიკა და სტრატეგიული პრიორიტეტები - რუსეთს სურდა რეგიონში გავლენის და შუამავლის როლის შენარჩუნება, მაგრამ სამხედრო კონფრონტაცია აზერბაიჯანთან

მოითხოვდა მაღალ რესურსებს, საერთაშორისო კრიტიკის რისკს და რეგიონული სტაბილურობის დაკარგვას. ამიტომ აირჩია დროებითი სტრატეგიული დათმობა, რაც საშუალებას აძლევდა გაემყარებინა გრძელვადიანი მიზნები, უსაფრთხოება და რეგიონული კონტროლი.

ინდივიდუალური და კოგნიტიური ფაქტორები - გადაწყვეტილების მიმღები პირების აღქმები, უკრაინის კრიზისის ფონზე არსებული სამხედრო-პოლიტიკური რისკები და საერთაშორისო იმიჯის შენარჩუნების აუცილებლობა განსაზღვრავდა რუსული სტრატეგიული არჩევანის პრაგმატულ ხასიათს.

რაციონალური აქტორის მოდელის მიხედვით, რუსეთმა მოახდინა ალტერნატივების იდენტიფიცირება → გამოითვალა შედეგები → აირჩია სტრატეგიული დათმობის ალტერნატივა → შედეგად დაიცვა საკუთარი ეროვნული ინტერესები რეგიონში.

ნეოკლასიკური რეალიზმი ყურადღებას ამახვილებს შიდა ფაქტორებზე, ლიდერის აღქმაზე, სისტემურ ზეწოლაზე; რაციონალური აქტორის მოდელი კი ქმედებაზე, გადაწყვეტილებაზე, სტრატეგიაზე. აღნიშნული კონცეპტუალური ჩარჩოების კომბინაციამ კვლევას შესძინა მრავალდონიანი სიღრმე, რაც უზრუნველყოფს რუსეთის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების უფრო სრულყოფილ ახსნას როგორც სისტემურ, ისე შიდა ფაქტორებთან მიმართებით.

Giorgi Kelaptrishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-Mail: g.kelaptrishvili.80@gmail.com

The Transformation of Russia's Foreign Policy in the South Caucasus: The Nagorno-Karabakh Case

Abstract

The aim of the present article is to analyze the transformation of Russia's foreign policy in the South Caucasus, specifically regarding the Nagorno-Karabakh conflict. The study examines the key factors that influenced Russia's foreign policy in the South Caucasus and contributed to its fundamental changes in relation to the Nagorno-Karabakh conflict. Additionally, the research aims to identify the circumstances and factors that led to Russia's decision to allow Azerbaijan to regain control over the Nagorno-Karabakh region through military means. The period of Azerbaijan's return of Nagorno-Karabakh by military effort is not chosen by chance and coincides with a rather difficult geopolitical situation for Russia, as Ukraine's growing desire to join NATO and the European Union is the main challenge to Russia's national security concept. Therefore, Russia's main focus is directed against the expansion of NATO to its borders, which requires the mobilization and concentration of considerable military and political resources. Based on the

above the study also seeks to determine whether this foreign policy behavior constituted a forced reaction or a strategic concession. Data collection and analysis in this study employed social research qualitative approach to comprehensively assess the political and military consequences of Russia's efforts to consolidate or weaken influence in the region. For the theoretical and conceptual analysis of Russia's foreign policy transformation, the study applies neoclassical realism, which allows evaluation of Russia's policy changes at three levels: systemic, domestic, and individual. Neoclassical realism provides a framework for understanding state foreign policy decisions based on both structural constraints and domestic factors, including the cognitive perceptions of the ruling elite. This approach creates a multi-level analytical framework that integrates systemic, intermediate, and individual-level variables, enabling a comprehensive analysis of Russia's foreign policy in the South Caucasus, particularly in the context of the Nagorno-Karabakh conflict. In addition, the study incorporates the Rational Actor Model, complementing the conceptual framework by systematically assessing Russia's motivations for foreign policy choices, the prioritization of strategic interests, and the behavioral logic of decision-makers. The rational actor model is one of the most widely used models of foreign policy analysis, which tries to explain how and why states make specific foreign policy decisions. The mentioned model perceives the state as a single, rational actor that acts to protect its own national interests and evaluates all alternatives as much as possible in the decision-making process and chooses the most profitable one. The findings indicate that Russia's foreign policy transformation regarding the Nagorno-Karabakh conflict was shaped by a combination of regional influence constraints, temporary strategic concessions to allow Azerbaijan military and political gains, and the prioritization of more urgent objectives (e.g., the conflict in Ukraine). In the face of limited resources, temporary concessions are a rational solution in order to mobilize more resources to achieve more important goals. These dynamics were further influenced by the cognitive perceptions and ideological orientations of Russian decision-makers regarding to the political course of Armenia.

Keywords: Russia, foreign policy, neoclassical realism, Rational Actor Model, Nagorno-Karabakh.

AI კონტენტი გამოყენებული არაა. სტატია დაწერილია საერთაშორისო ურთიერთობის სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში.

ბიბლიოგრაფია:

მალაშხია, შ. (2011). *კონფლიქტების ანატომია*. გამომცემლობა „ფორმა".

Applebaum, A. (2013). *Putinism: The ideology (Strategic Update 13.2)*. LSE IDEAS, London School of Economics and Political Science.

https://www.lse.ac.uk/ideas/Assets/Documents/updates/LSE-IDEAS-Putinism-The-Ideology.pdf

Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan. (2023). *Statement by Azerbaijan's Ministry of Defense*.

https://mod.gov.az/en/news/statement-by-azerbaijan-s-ministry-of-defense-49350.html

BBC. (2016, April 5). *Nagorno-Karabakh: Azeri-Armenian ceasefire agreed*. https://www.bbc.com/news/world-europe-35964213

Brewer, T. L. (1992). *American foreign policy: A contemporary introduction*. Prentice Hall.

Brown, C. (2013). *Human nature, science and international political theory*. Journal of International Relations and Development.

Carley, P. (1998). *Nagorno-Karabakh: Searching for a solution*. United States Institute of Peace.

Bayramov, A. (2016). *Silencing the Nagorno-Karabakh conflict and challenges of the four-day war*. Security and Human Rights.

Center for Strategic and International Studies. (2023). *A renewed Nagorno-Karabakh conflict: Reading between the front lines*.

https://www.csis.org/analysis/renewed-nagorno-karabakh-conflict-reading-between-front-lines

Cornell, S. E. (1999). *The Nagorno-Karabakh conflict (Report No. 46)*. Department of East European Studies, Uppsala University.

https://opendata.uni-halle.de/bitstream/1981185920/105775/329/595776787.pdf

European Asylum Support Office. (2020). *COI chronology*. https://www.ecoi.net/en/file/local/2040716/2020_11_Chronology_Armenia_Azerbaijan_Nagorno_Karabakh_armed_conflict_impact_civilian_population.pdf

European Parliament. (2021*). Joint statement on the escalation on the border between Armenia and Azerbaijan and the Nagorno-Karabakh conflict*. https://www.europarl.europa.eu/delegations/en/joint-statement-on-the-escalation-on-the/product-details/20211117DPU31721

European Parliament. (2022). *Armenia and Azerbaijan: Between war and peace*. https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/EPRS_BRI(2023)747919

European Union. (2022). *EU monitoring capacity in Armenia becomes operational*. https://euneighbourseast.eu/news/latest-news/eu-monitoring-capacity-in-armenia-becomes-operational/

France24. (2023). *Karabakh separatists to disband after surrender to Azerbaijan*. https://www.france24.com/en/live-news/20230928-nagorno-karabakh-to-dissolve-ending-independence-dream

Global Conflict Tracker. (2024). *Nagorno-Karabakh conflict*. Council on Foreign Relations. https://www.cfr.org/global-conflict-tracker/conflict/nagorno-karabakh-conflict

Hans, M. (2020). *The Nordic region: Can Russia "divide and rule"? Four Russo-Nordic relations after Crimea and Trump*. Danish Institute for International Studies.

Kremlin.ru. (2020). *Заявление Президента Азербайджанской Республики, Премьер-министра Республики Армения и Президента Российской Федерации*. http://kremlin.ru/events/president/news/64384

Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan. (2020). *Legitimate military targets that have taken the civilian population of Azerbaijan under the gunpoint were neutralized*. https://mod.gov.az/en/news/legitimate-military-targets-that-have-taken-the-civilian-population-of-azerbaijan-under-the-gunpoint-were-neutralized-32955.html

Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan. (n.d.). *The Khojaly genocide*. https://mod.gov.az/en/khodjali-genocide-411/

Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan. (2016). *The latest update on the frontline*. https://mod.gov.az/en/news/the-latest-update-on-the-frontline-video-12782.html

OSCE. (1995). *OSCE Minsk Group mandate*.

https://www.osce.org/mg

OSCE. (2009). *Statement by the OSCE Minsk Group Co-Chair countries*. https://www.osce.org/mg/51152

President of Russia. (2020). *Expanded meeting of the Defense Ministry Board*. http://en.kremlin.ru/events/president/news/64684

President of Russia. (2023). *Valdai International Discussion Club meeting*. http://en.kremlin.ru/events/president/news/72444

Reuters. (2022, September 13). *Fresh clashes erupt between Azerbaijan, Armenia*. https://www.reuters.com/world/fresh-clashes-erupt-between-azerbaijan-armenia-2022-09-12/

Reuters. (2024, April 17). *Russian peacekeepers start withdrawing from Azerbaijan's Karabakh region*.

https://www.reuters.com/world/europe/russian-peacekeepers-have-begun-withdrawing-azerbaijans-karabakh-says-kremlin-2024-04-17/

Reuters. (2022, September 13). *U.S. urges end to hostilities along Armenia-Azerbaijan border*.

https://www.reuters.com/world/us-urges-end-hostilities-along-armenia-azerbaijan-border-2022-09-13/

Reuters. (2022, January 28). *Exclusive: Russia moves blood supplies near Ukraine, adding to U.S. concern, officials say*.

https://www.reuters.com/world/europe/exclusive-russia-moves-blood-supplies-near-ukraine-adding-us-concern-officials-2022-01-28/

Rose, G. (1998). *Neoclassical realism and theories of foreign policy*. World Politics (Cambridge University Press, via JSTOR).

Waltz, K. (1988). *The origins of war in neorealist theory*. The MIT Press. https://users.metu.edu.tr/utuba/Waltz.pdf

Snyder, J. (2004). *One world, rival theories*. Foreign Policy.

Stockholm Centre for Eastern European Studies (SCEEUS). (2023). *The Armenian Dilemma after Azerbaijan's September Attack on Nagorno-Karabakh*. SCEEUS Report No. 14.

https://sceeus.se/en/publications/the-armenian-dilemma-after-azerbaijans-september-attack-on-nagorno-karabakh/

Walt, S. M. (1998). *International relations: One world, many theories*. Foreign Policy.

Ter-Matevosyan, V., & Nikoghosyan, H. (2025). *Political communication during the 2020 war: Setting the stage for defeat*. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/393439850_POLITICAL_COMMUNICATION_DURING_THE_2020_WAR_SETTING_THE_STAGE_FOR_DEFEAT

The Guardian. (2016, April 2). *Conflict erupts between Azerbaijani and Armenian forces*. https://www.theguardian.com/world/2016/apr/02/conflict-erupts-between-azerbaijani-and-armenian-forces

Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. (2023). *Foreign Ministry statement regarding an address by the Prime Minister of the Republic of Armenia, Nikol Pashinyan, and the situation around Nagorno-Karabakh*.

https://mid.ru/en/foreign_policy/news/1906229/

Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. (2023). *Briefing by Foreign Ministry Spokeswoman Maria Zakharova*.

https://mid.ru/en/foreign_policy/news/1903108/#110

Yablonskyi, V., & Karavaiev, V. (2026). *Transformation of the Russian Federation's revisionist policy towards post-Soviet states*. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/400839176_Transformation_of_the_Russian_Federation's_Revisionist_Policy_Towards_Post-Soviet_States

Министерство обороны Азербайджанской Республики. (2024). *Сообщение Министерства обороны*.

https://mod.gov.az/ru/news/soobsh%EE%80%80enie-ministerstva-oborony-video%EE%80%80-52058.html

РИА Новости. (2020, November 17). *Путин рассказал, почему бои в Карабахе не удалось остановить в октябре*.
https://ria.ru/20201117/karabakh-1585078134.html?in=t